

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო 2017 წლის 23 ივნისს ქ. თბილისში
შემსყიდველი: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, მისი
უფლებამოსილი წარმომადგენლის ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის ნინო
მურჯიკნელის სახით.

მისამართი: ქ. თბილისი, ჭოველიძის ქუჩა №10ა, ტელეფონი 299-10-76, 299-10-01

საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, კოდი TRESGE22, ა/ა №200122900, ს/კ 203840433

მიმწოდებელი: შპს „არგსტული პროექტი“

საიდენტიფიკაციო კოდი: 204489393

იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, გ.გაბიძის ქუჩა 3/5, ტელ: 2915254, 599-700300

ფაქტობრივი მისამართი: ქ. თბილისი, ბაგების მიმდებარედ, მ. საკანდელიძის ქუჩა №3

ხელმძღვანელი: ღირეჭტორი ირენე სკალვინი

საბანკო რეკვიზიტები: სს "საქართველოს ბანკი"; ბანკის კოდი BAGAGE22; ანგარიშის №
GE05BG000000119334000.

ერთი მხრივ – შემსყიდველი, და მეორე მხრივ – მიმწოდებელი, ადასტურებენ, რომ მათ შორის
მიღწეულია შეთანხმება შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

- 1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
- 1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
- 1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ – კალენდარული დღე, კვირა, თვე.
- 1.4. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
- 1.5. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ხელშეკრულების ფარგლებში.
- 1.6. „მომსახურება“ – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.
- 1.7. „ტექნიკური დავალება“ – საკონკურსო განცხადების ტექნიკური დავალება, რომელიც დაერთება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

2. ხელშეკრულების საბანი


- 2.1 საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2017-2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული „მარკეტინგული და იურიდიული კონსულტაციების ხარჯი (24 01 04)“ ასიგნებების ფარგლებში ონის მუნიციპალიტეტისა და სოფლების - უწერის, მრავალძალისა და კურორტ შოვის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვა ტექნიკური დავალების (დანართი №1) და გასაწვევი მომსახურების განხორციელების გეგმა-გრაფიკის (დანართი №2) შესაბამისად (CPV-71400000).

3. ხელშეკრულების ღირებულება

- 3.1 ხელშეკრულების ღირებულება: **460 200,00 ლარი (დღგ-ს ჩათვლით).**
ოთხასსამოცი ათას ორასი ლარი და 00 თეთრი
(თანხა ციფრებით და სიტყვიერად)
- 3.2 ხელშეკრულების ღირებულება შეიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯებსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ გადასახადებს, დაკავშირებულს მომსახურების გაწევასთან.

4. მხარეთა უფლება-მოვალეობები

- 4.1 მიმწოდებელი ვალდებულია:
 - ა) შემსყიდველს გაუწიოს ონის მუნიციპალიტეტისა და სოფლების - უწერის, მრავალძალისა და კურორტ შოვის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება ტექნიკური დავალების (დანართი №1) და გასაწვევი მომსახურების განხორციელების გეგმა-გრაფიკის (დანართი №2) შესაბამისად;
 - ბ) მომსახურება განხორციელოს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში.
- 4.2 მიმწოდებელი უფლებამოსილია:
 - ა) შემსყიდველს მოსთხოვოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება;



- 4.3 შემსყიდველი ვალდებულია:
 ა) განახორციელოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება;
- 4.4 შემსყიდველი უფლებამოსილია:
 ა) მიმწოდებლისგან მოითხოვოს მომსახურების გაწევა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებში;
 ბ) შეამოწმოს მომსახურების გაწევის ხარისხი, მომსახურების გაწევის მიმდინარეობა;
 გ) მონიტორინგის შედეგად მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში მისცეს მას მითითება ვალდებულებების დარღვევის გამოსწორების შესახებ ან შეწყვიტოს (არ განახორციელოს) მიმწოდებლის დაფინანსება.

5. ხარისხი

- 5.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს გაწეული მომსახურების ხარისხზე, ხოლო შემსყიდველი უფლებამოსილია ჩაატაროს გაწეული მომსახურების ხარისხის შემოწმება.
- 5.2 მიმწოდებელი გამოიყენებს სრულ ძალისხმევას მომსახურების ჯეროვნად განსახორციელებლად.
- 5.3 შემსყიდველი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს მიმწოდებელს განხორციელებულ მომსახურებაში დასაბუთებული ნაკლის (ხარვეზის) აღმოჩენის შესახებ.
- 5.4 მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში, საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას დოკუმენტაციაში აღმოჩენილი ნაკლი (ხარვეზი).

6. შუსყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

- 6.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ჩაატაროს გაწეული მომსახურების ინსპექტირება, რისთვისაც გამოყოფს უფლებამოსილ პირს: სივრცითი დაგეგმარებისა და სამშენებლო პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსს ნინო გვენცაძეს.
- 6.2 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის დადასტურების მიზნით, შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი.
- 6.3 მომსახურება ჩაითვლება გაწეულად მხოლოდ მხარეებს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
- 6.4 თუ შემსყიდველი მისი მხრიდან ხელმოწერილ მიღება-ჩაბარების აქტს მიმწოდებლისგან მისი მიღებიდან 10 (ათი) სამუშაო დღეში არ წარუდგენს მიმწოდებელს ან იმავე ვადაში გონივრული, დასაბუთებული შენიშვნებით არ დაუბრუნებს, მომსახურება შემსყიდველის მიერ მიღებულად ითვლება და მას არ აქვს მომსახურებასთან დაკავშირებით პრეტენზიის გაცხადების ან/და შესრულების ნაკლზე მითითების უფლება.
- 6.5 მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მხრიდან მოთხოვნილი გაწეული მომსახურების დადასტურების და ანაზღაურების მიღების მიზნით შემსყიდველს წარმოუდგინოს შესაბამისი ფინანსური დოკუმენტაცია. ანგარიშსწორების სავალდებულო წინაპირობა მიღება-ჩაბარების აქტთან ერთად არის ანგარიშ-შფაქტურა (თუ არ არის დღგ-ს გადამხდელი წარმოადგინოს ცნობა).
- 6.6 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლებამოსილება ენიჭება სივრცითი დაგეგმარებისა და სამშენებლო პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსს ნინო გვენცაძეს.

7. ანგარიშსწორების წესი

- 7.1 მომსახურების ღირებულების გადახდა მოხდება ეტაპობრივად შემდეგი წესით:
- ა) ხელშეკრულების ღირებულების 20% - 92 040 (ოთხმოცდათორმეტი ათას ორმოცი) ლარი, გასაწევი მომსახურების განხორციელების გეგმა-გრაფიკით (დანართი №2) განსაზღვრული ეტაპი 1-ის დასრულებიდან, შუალედური მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან და ანგარიშშფაქტურის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში (2017 წლის ასიგნებები).
- ბ) ხელშეკრულების ღირებულების 30% - 138 060 (ასოცდათვრამეტი ათას სამოცი) ლარი, გასაწევი მომსახურების განხორციელების გეგმა-გრაფიკით (დანართი №2) განსაზღვრული ეტაპი 2-ის დასრულებიდან შუალედური მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან და ანგარიშშფაქტურის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში (2017 წლის ასიგნებები).
- გ) ხელშეკრულების ღირებულების 25% - 115 050 (ასთხუთმეტი ათას ორმოცდაათი) ლარი, გასაწევი მომსახურების განხორციელების გეგმა-გრაფიკით (დანართი №2) განსაზღვრული ეტაპი 3-ის დასრულებიდან, შუალედური მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან და ანგარიშშფაქტურის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში (2018 წლის ასიგნებები).
- დ) ხელშეკრულების ღირებულების 25% - 115 050 (ასთხუთმეტი ათას ორმოცდაათი) ლარი, გასაწევი მომსახურების განხორციელების გეგმა-გრაფიკით (დანართი №2) განსაზღვრული ეტაპი 4-ის დასრულებიდან, შუალედური მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან და ანგარიშშფაქტურის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში (2018 წლის ასიგნებები).

შეთანხმებულია მიმწოდებელს
 დეპარტამენტში
 ნინო გვენცაძე
 6. 2017 წ.
 4 უწყვეტი

- 7.2 ანგარიშსწორების ვალუტა: ლარი;
- 7.3 ანგარიშსწორების ფორმა: უნაღდო.

8. მომსახურების გაწევის ადგილი და ვადა

- 8.1 მომსახურების გაწევის ადგილი: ტექნიკური დავალების (დანართი №1) შესაბამისად.
- 8.2 მომსახურება უნდა განხორციელდეს წინამდებარე ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 360 კალენდარულ დღეში.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

- 9.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 390 კალენდარული დღის განმავლობაში.

10. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

- 10.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით;
- 10.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-14 მუხლის 14.1 პუნქტის შესაბამისად.

11. პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

- 11.1. წინამდებარე ხელშეკრულების 4.1 პუნქტით განსაზღვრული მომსახურების გაწევის ვადის დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.
- 11.2. წინამდებარე ხელშეკრულების 7.1 პუნქტით განსაზღვრული გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0,02%-ის ოდენობით.
- 11.3. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2 (ორი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.
- 11.4. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.
- 11.5 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
- 11.6 სანქციების დაწესება არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12. ფორს-მაჟორი

- 12.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.
- 12.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული მხარეთა ნების გამოვლენასთან, შეცდომებსა და დაუდევრობასთან და გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი ან/და გამოწვეულია დაუძლეველი ძალის დადგომით, ამასთან აღნიშნული გარემოება მხარეთა მიერ შესაძლოა განხილულ იქნას როგორც ფორს-მაჟორი მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ აღნიშნული გარემოებების დადგომა უშუალოდ უშლის ხელს მხარეთა მიერ ვალდებულებების შესრულებას.
- 12.3 ხელშეკრულების მიზნებისათვის „ფორს-მაჟორად“ მიჩნეული შეიძლება იყოს საომარი ან საგანგებო მდგომარეობა, სტიქიური უბედურება, ეპიდემია, კარანტინი, საქართველოს მთავრობის მიერ გამოცხადებული მორატორიუმი, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესება, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირება და სხვა.

13. სადაო საპითხების გადაწყვეტა

- 13.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი მოლაპარაკებების გზით და ურთიერთშეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და



დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა საკითხების ირგვლივ.

13.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს უფლება აქვს დავის გადაწყვეტის მიზნით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს.

14. სხვა პირობები

- 14.1 ხელშეკრულებაში დამატებების და/ან ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით და წარმომადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
- 14.2 ხელშეკრულების მოქმედება შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.
- 14.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად (ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელს, ერთი ეგზემპლარი შემსყიდველს).

15. მხარეთა ხელმოწერები

შემსყიდველის მხრიდან

ადმინისტრაციული დეპარტამენტის
უფროსი
ნინო მურჯიკენელი




მიმწოდებლის მხრიდან

შპს „არტსტუდიო პროექტი“
დირექტორი
ირენე სკალვინი






შეთანხმებულია იურიდიულ
დეპარტამენტთან

2017
94 6 4

ონის მუნიციპალიტეტისა სოფლების - უწერის, მრავალძალისა და კურორტ შოვის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტაციის შემუშავების

ტექნიკური დავალება

შესავალი

ონის მუნიციპალიტეტისა სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტაციის მომზადების მიზნით, კონკურსის ორგანიზატორის - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ განხორციელდა საჭიროებათა შეფასება და შემუშავებულ იქნა საკონკურსო პირობები / მ.შ. ტექნიკური დავალების პროექტი/.

ონის მუნიციპალიტეტი — ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულია რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის მხარეში. 1917 წლამდე თანამედროვე ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორია შედიოდა ქუთაისის გუბერნიის რაჭის მაზრაში, 1917 წლიდან 1928 წლამდე — რაჭის მაზრაში, 1929 წლიდან — რაჭა-ლეჩხუმის მაზრაში, 1930 წლის მარტის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით — ქუთაისის ოლქში, 1930 წლის ოქტომბრიდან — იყო დამოუკიდებელი რაიონი. 1963-1964 წლებში შედიოდა ამბროლაურის რაიონში. 1965 წლიდან გამოიყო როგორც დამოუკიდებელი რაიონი, დღევანდელი საზღვრებით. მუნიციპალიტეტს აღმოსავლეთით ეკვრის ჯავის, დასავლეთით ამბროლაურისა და ლენტეხის, სამხრეთით საჩხერის მუნიციპალიტეტები, ჩრდილოეთით რუსეთის ფედერაციაში შემავალი ყაზარდო-ბალყარეთისა და ჩრდილოეთი ოსეთის რესპუბლიკები. ფართობი 1326,3 კმ². ადმინისტრაციული ცენტრია ქალაქი ონი. მუნიციპალიტეტში 1 ქალაქი და 65 სოფელია.

ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორია გამორჩეულია შენარჩუნებული ბუნებრივი ეკოსისტემებით, ბუნებრივი და კულტურული ლანდშაფტებით, მატერიალური და არამატერიალური ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობით. ტერიტორია მდიდარია ტყის რესურსებით. მისი ტერიტორიის 51% ტყითაა დაფარული, რომლის საერთო ფართობი 69 ათასი ჰა-ია.

მუნიციპალიტეტის მოსახლეობა 2014 წლის აღწერის მონაცემებით 8 300 კაცია. ბოლო ათი წლის განმავლობაში მოსახლეობის რაოდენობა 50%-ით შემცირდა. ქალაქ ონში 3 150 მცხოვრებია. სოფლად ცხოვრობს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 60% (5 150 კაცი). მოსახლეობის სიმჭიდროვე 6 კაცი/კმ²-ზე, რაც ქვეყნის საშუალო მაჩვენებლს (67კაცი/კმ²) 10-ჯერ ჩამოუვარდება.

მოსახლეობის ტრადიციული საქმიანობის ერთ-ერთ მნიშვნელოვანი მიმართულებაა ხეზე ჭრა. ზამთრის პერიოდში სპილენძის ჭურჭელს, სამჭედლო ნივთებს და ხის ავეჯს ამზადებდნენ. ეთნოგრაფიულ ყოფაში დღემდე შემონახულია მრავალხმიანი სიმღერები და საგალობლები, ხალხური რიტუალები და წეს-ჩვეულებები. განვითარებულ კულტურაზე ფეოდალური ხანის ეთნოგრაფიული ძეგლები და ყოფა-ცხოვრების დახვეწილი წესები მიუთითებენ.

შემორჩენილია მევენახეობა-მეღვინეობის ისეთივე არქაული წესები, როგორც ძველი ბერძნული და რომაული თხზულებები აღწერენ: რთველის სამზადისი, ყურძნის კრეფისა და დაწურვის წესები, ღვინის დაყენების მრავალსაუკუნოვანი ხელოვნება. დღესაც არსებობს ღვინის მარნები, საწნახელები, მრავალნაირი საღვინე ჭურჭელი და ხელსაწყოები. აქ ვაზის 60-მდე ადგილობრივი ჯიში არის გამოყვანილი.

აღსანიშნავია ისტორიულად ჩამოყალიბებული, ბუნებრივ პირობებთან ჰარმონიულად შერწყმული დასახლებათა სისტემა, ქრისტიანული ტაძრები. ოფიციალური მონაცემებით ფიქსირდება 4 ათეულზე მეტი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი.

რაც შეეხება ამ მხარისათვის დამახასიათებელ არქიტექტურას, მაღალმთიან რაჭაში აგებდნენ სვანური კოშკების მსგავს დუროიან, ანუ სათოფურიან სახლებს, რომლებიც როგორც საცხოვრებლად, ასევე თავდასაცავად გამოიყენებოდა. ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით, ეს სოფლები „კოშკოვან-გოდლოვან-ზღუდიანი“ დასახლებული პუნქტები, მთის რაჭაში განფენილია არიან მთების კალთაზე. მაღალმთიან სოფლებში დღესაც შემორჩენილია მრავალსართულიანი „დუროიანი“ სახლები.

ონის მუნიციპალიტეტის შემოსავლების ძირითადი სექტორები წარსულში იყო მინერალური წყლების ჩამოსხმა, ადგილმრეწველობის საწარმოები, სოფლის მეურნეობა (მეცხოველეობის ფერმები) და სამკერვალო ფაბრიკა. მაგრამ შემოსავლის ძირითადი სექტორები რადიკალურად შეიცვალა, რაც ქვეყანაში სოციალური და ეკონომიკური ფორმაციის შეცვლამ განაპირობა. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის უზრუნველყოფა ძირითადად გამოთანაბრებითი ტრანსფერებით ხდება.

უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის ფონზე, რეგიონი აღმოჩნდა ადგილობრივი, ეროვნული და საერთაშორისო ღირებულებების დაკარგვის საფრთხის წინაშე. უკონტროლო ხის ჭრა, ნადირობა, მინერალური რესურსების მოპოვება მნიშვნელოვან პრობლემებს უქმნის მთიან ეკოსისტემებს. არასრულყოფილმა და არაეფექტიანმა კანონმდებლობამ და ადგილობრივი მოსახლეობის უკიდურესმა ეკონომიკურმა გაჭირვებამ უდიდესი საფრთხე შეუქმნა ბიომრავალფეროვნებას.

პრიორიტეტული სექტორები, რამაც შეიძლება უზრუნველყოს მუნიციპალიტეტის განვითარება და შემოსავლის ზრდა არის სოფლის მეურნეობა, კერძოდ მეცხოველეობის განვითარება და ხორცისა და რძის პროდუქტების დამზადება; ტურიზმის განვითარება, რომელსაც ხელს უწყობს მუნიციპალიტეტის ბუნებრივი პირობები და საკურორტო რესურსები; ბარიტისა და ოქროს საბადოების ათვისება, რაც ასახულია მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების გეგმაში. ამასთანავე სატყეო სექტორის საფუძველზე შესაძლებელია ხის დამუშავებისა და ავეჯის საწარმოების განვითარება.

უნდა აღინიშნოს მუნიციპალიტეტში ისეთი მნიშვნელოვანი საწარმოს გახსნა როგორცაა როგორცაა "ბლაუნშტაინ ჯორჯია". ეს ერთი მხრივ სახელმწიფოსა და კერძო სექტორის თანამშრომლობის და მეორეს მხრივ ცოდნის, გამოცდილების გაზიარების კარგი მაგალითია.

არსებული პრობლემებიდან ერთ-ერთ უმნიშვნელოვანესს წარმოადგენს მაღალმთიანი სოფლების მოსახლეობისაგან დაცლა. ამის მთავარი მიზეზია მოსახლეობის ადგილზე

დამავრების სოციალურ ეკონომიკური პირობების არქონა. ასევე გამოსაყოფია - მკაცრი ბუნებრივ-კლიმატური პირობები, სახელმწიფო საზღვრის, მუნიციპალიტეტისა და დასახლებების ადმინისტრაციული საზღვრების დელიმიტაცია-დემარკაციის პრობლემები, რთული სატრანსპორტო მიღწევადობა მაღალმთიან სოფლებში, დაურეგულირებელი ტურიზმი და რეკრეაცია, გაზრდილი ტურისტებისა და ვიზიტორების რიცხვის შესაძლო უარყოფითი გავლენა ბუნებრივ და სოციალურ-კულტურულ გარემოზე, სოციალური და საინჟინრო ინფრასტრუქტურის დაბალი დონე.

ონის მუნიციპალიტეტი მდებარეობს მაღალმთიან ზონაში, ამიტომ ბუნებრივი საფრთხეები განსაკუთრებით აქტიურია. სახასიათოა წყალდიდობა, მეწყერი, ღვარცოფი, ზვავი, მდინარის ნაპირების ეროზია და მიწისძვრა.

რაც შეეხება საკურორტო მიმართულების განვითარებას, მუნიციპალიტეტს გაჩნია ძალზე მაღალი რეკრეაციული, საკურორტო და ტურისტული პოტენციალი. აღსანიშნავია შემდეგი კურორტები:

შოვი - კლიმატო - ბალნეოლოგიური ტიპის, პროფილაქტიკური, პულმონოლოგიური, ალერგოლოგიური, გასტროენტეროლოგიური პროფილის;

უწერა - ბალნეო-კლიმატური ტიპის, პულმონოლოგიური, ალერგოლოგიური, გასტროენტეროლოგიური პროფილის;

ბუბას მყინვარი- შესწავლილ და გაანალიზებული უნდა იქნას ბუბას მყინვარის პოტენციალი სამთო კურორტის შექმნის შესაძლებლობის თვალსაზრისით.

ამ თვალსაზრისით ყველაზე გამორჩეული სოფლებია შოვი, უწერა, მრავალძალი და ეგრეთწოდებული „მთის რაჭა“ - ღები, ჭიორა, გლოლა და შქმერი.


განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ დასაგეგმარებელ ტერიტორიებზე არსებულ დასახლებებს არ გააჩნიათ კანონმდებლობის შესაბამისად შემუშავებული და დამტკიცებული სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტაცია. უსისტემო და არაგეგმაზომიერი განაშენიანების შემთხვევებში არსებობს საფრთხე, რომ ზიანი მიადგება ბუნებრივ და კულტურულ ლანდშაფტებს. ამდენად აუცილებელია მოკლე ვადაში განხორციელდეს მდგრადი განვითარების პრინციპებზე დაფუძნებული, სრულფასოვანი სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტაციის შემუშავება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტაციის შემუშავების ყველა ეტაპზე, კომპლექსურად იქნას გაანალიზებული და გათვალისწინებული ონის მუნიციპალიტეტის ჰარმონიული და მდგრადი განვითარების საკითხები.

ჩატარდეს გზებზე მეწყრული პროცესებისა და მათი გამომწვევი მიზეზების, თოვლის ფიზიკური მახასიათებლების (თოვლის სიმკვრივე და წყლიანობა), ზვავსაშიშროებისა და ქარის ნაკადების კვლევა;

დასაგეგმარებელი ტერიტორია მთლიანად ონის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვარშია (იხ.სქემა - ონის მუნიციპალიტეტის საკვლევ ტერიტორიების საორიენტაციო საზღვრები). სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტაციის ხედვის (კონცეფციის) ნაწილში წარმოდგენილ უნდა იქნას ონისა და ამბროლაურის მინიციპალიტეტების და ასევე მათი, მომიჯნავე მუნიციპალიტეტებთან ურთიერთკავშირები, მათ შორის სატრანსპორტო, ტურისტული, ინფრასტრუქტურული და სხვა.

სქემა - ონის მუნიციპალიტეტის საკვლევი ტერიტორიების საორიენტაციო საზღვრები



ზოგადი ნაწილი

ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის შემუშავების საფუძველია:

- საქართველოს კანონი „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ (2005 წ.);
- საქართველოს კანონი „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ (1996 წ.);
- საქართველოს კანონი „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ (2012 წ.);
- საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის დადგენილება №59 ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე;
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 22 მაისის „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ №7 ბრძანება;
- კანონმდებლობით დადგენილი წესით მუნიციპალიტეტების საკრებულოების მიერ გასაცემი – გეგმარებითი დავალებები (გაიცემა პირველი ეტაპის - წინასაპროექტო კვლევის დასრულების შემდეგ - იხ. სამუშაოების ეტაპები და გრაფიკი).

- ცენტრალური კავკასიონის დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის სახელმძღვანელო დოკუმენტი (2006 წ.)

- ქალაქთმშენებლობითი, ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროებისთვის აუცილებელი და გასათვალისწინებელი საკანონმდებლო და ნორმატიული აქტების მოთხოვნები, კონცეფტუალური და კვლევითი ხასიათის დოკუმენტაცია, ანალოგიური გეგმარებითი სამუშაოების გამოცდილება.

საპროექტო მომსახურების მომწოდებლის შერჩევის პროცედურა

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ, ონის მუნიციპალიტეტის და მისი სოფლების უწერის, მრავალძალისა და კურორტ შოვის განვითარებისათვის, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტაციის შემუშავების მიზნით, კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების მომწოდებლის შერჩევა განხორციელდება, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 22 მაისის „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ №7 ბრძანების შესაბამისად.

დოკუმენტაციის შემუშავების მიზნები:

- ჯანსაღი, უსაფრთხო და მოხერხებული საცხოვრებელი და სამოღვაწეო გარემოს და პირობების შექმნა;

ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა;

მდგრადი განვითარების მიზნით, ფიზიკური და იურიდიული პირების, ადგილობრივი თვითმმართველობის და სახელმწიფო ინტერესების ურთიერთშეთანხმება ტერიტორიების გამოყენებისა და განვითარების საკითხებში;

ტერიტორიების გამოყენების (მიწათსარგებლობის) და განაშენიანების განვითარების პრიორიტეტების დადგენა;

მიწათსარგებლობის ზონებისა და ქვეზონების დადგენა;

ტერიტორიების გამოყენების (მიწათსარგებლობის) და განაშენიანების პარამეტრების განსაზღვრა.

დოკუმენტაციის შემუშავების სახელმძღვანელო პრინციპებია:

- მდგრადი განვითარების წინაპირობების შექმნა;

- ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და დასახლებათა განვითარების საკითხების ჰარმონიზება;

- უპირატესად სივრცითი განვითარების ინტენსიური მოდელის გამოყენება;

- ინვესტიციების მოზიდვის, მოსახლეობის დასაქმებისა და კონკურენტუნარიანობის გაზრდის მიზნით, საერთაშორისო პრაქტიკაში დანერგილი, თანამედროვე სივრცით-

ტერიტორიული დაგეგმვის, გარემოსდაცვითი, სატრანსპორტო და საინჟინრო მიდგომებისა და გადაწყვეტების გამოყენება;

- სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის პროცესში საჯაროობის, ჩართულობისა და თანამონაწილეობის უზრუნველყოფა.

დოკუმენტაციის შემუშავების ეტაპები და ტიპები

შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს - ონის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის გეგმა; „მთის რაჭის“ სოფლების ღები, გლოლა, ჭიორა და შქმერის განვითარების ხედვები (კონცეფციები); სოფლების - უწერა, მრავალძალი, შოვი განაშენიანების რეგულირების გეგმა. კერძოდ:

I ეტაპი:

ონის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის გეგმის გეგმარებითი დავალების შედგენისათვის, წინასაპროექტო კვლევა და სტრატეგიული განვითარების ხედვა (კონცეფცია), კონცეფციის ფარგლებში აქცენტი გაკეთდეს „მთის რაჭის“ სოფლებზე ღები, გლოლა, ჭიორა და შქმერი;

სოფლების - უწერა, მრავალძალი, შოვი განაშენიანების რეგულირების გეგმების გეგმარებითი დავალებების შედგენისათვის, წინასაპროექტო კვლევები და სტრატეგიული განვითარების ხედვები (კონცეფციები).

II ეტაპი:

ონის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის გეგმის გეგმარებითი დავალება;

სოფლების - უწერა, მრავალძალი, შოვი განაშენიანების რეგულირების გეგმების გეგმარებითი დავალებები.

III ეტაპი:

ონის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის გეგმა; „მთის რაჭის“ სოფლების ღები, გლოლა, ჭიორა და შქმერის განვითარების ხედვები (კონცეფციები);

IV ეტაპი:

სოფლების - უწერა, მრავალძალი, შოვი განაშენიანების რეგულირების გეგმები.

ონის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის გეგმა

მუნიციპალიტეტის დაგეგმვა არის შუალედური დონე ქვეყნის დაგეგმვისა და დასახლებათა დაგეგმვის დონეებს შორის.

მუნიციპალიტეტის დაგეგმვა, ერთი მხრივ, აკონკრეტებს ქვეყნის დაგეგმვის მთავარ მიზნებს, მეორე მხრივ კი, მისი ამოცანაა ცალკეული მუნიციპალიტეტების მიერ დაგეგმვის სფეროში მიღებული გადაწყვეტილებების კოორდინირება ქვეყნის დაგეგმვის მიზნებთან.

მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის გეგმა შედგება ტექსტური და გრაფიკული ნაწილებისაგან. გრაფიკული ნაწილის მასშტაბი უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობის ან/და გეგმარებითი დავალების შესაბამისი, წარმოდგენილი რუკის (რუკების) სახით და აკმაყოფილებდეს დადგენილ კარტოგრაფიულ სტანდარტებს.

ონის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის გეგმის შემადგენლობა

1. სივრცითი მოწყობის გეგმამ უნდა განსაზღვროს სივრცით-ტერიტორიული სტრუქტურა, მათ შორის:

ა) სივრცის კატეგორიები: ურბანიზებული ტერიტორია, სასოფლო ტერიტორია, ბუნებრივ-ლანდშაფტური ტერიტორია, სპეციალური ტერიტორიები;

ბ) დასახლებათა სტრუქტურა და განვითარების ცენტრების იერარქია;

გ) ძირითადი საინჟინრო და სატრანსპორტო კომუნიკაციები;

დ) ინფრასტრუქტურისა და სივრცით-ტერიტორიული განვითარების ძირითადი გეგმარებითი ღერძები;

ე) დასაქმებისა და საცხოვრებლის განვითარების ადგილები, სუსტად განვითარებული სტრუქტურის მქონე ტერიტორიები;

ვ) კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლების ტერიტორიები და დაცვის ზონები;

ზ) სარეკრეაციო და საკურორტო ტერიტორიები;

თ) ბუნებრივი ლანდშაფტის სტრუქტურის გაუმჯობესების წინაპირობები;

ი) დაცული ტერიტორიების სისტემა;

კ) სოფლის მეურნეობის განვითარების ტერიტორიები;

ლ) სატყეო მასივის დაცვისა და განვითარების ტერიტორიები;

მ) წყლის ობიექტები და წყალშემკრები ტერიტორიები;

ნ) სხვა მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი მიზნებისათვის გამოყენებული ტერიტორიები;

ო) მიწათსარგებლობის ძირითადი პრინციპები.

სოფლების უწერა, მრავალძალი, შოვი განაშენიანების რეგულირების გეგმები

ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის შემადგენლობა:

1. განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების შედგენისათვის, წინასაპროექტო კვლევა და სტრატეგიული განვითარების ხედვა (კონცეფცია);
2. თვითმმართველობის მიერ გასაცემი გეგმარებითი დავალება;
3. განაშენიანების რეგულირების გეგმა;
4. ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესები.

განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების შემუშავებისათვის წინასაპროექტო კვლევა

1. განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების შემუშავებისათვის საჭიროა წინასაპროექტო კვლევა.
2. წინასაპროექტო კვლევა მოიცავს:
 - ა) ფიზიკური გარემოს კვლევას;
 - ბ) დოკუმენტურ კვლევას;
 - გ) ტექნიკურ-ეკონომიკურ დასაბუთებას.
3. ფიზიკური გარემოს კვლევა მოიცავს:
 - ა) საპროექტო ტერიტორიის ორთოფოტო სურათს არსებული მდგომარეობით;
 - ბ) საპროექტო ტერიტორიის ტოპოგეოდეზიურ რუკას;
 - გ) საპროექტო ტერიტორიის ზოგადგეოლოგიურ და სეისმურ მონაცემებს;
 - დ) საპროექტო ტერიტორიის ზოგადკლიმატურ (ბუნებრივი ნალექების, ქარის, მზის გამოსხივების) მონაცემებს;
 - ე) საპროექტო ტერიტორიის არსებული ბუნებრივი ფასეულობების მონაცემებს;
 - ვ) საპროექტო ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლების მონაცემებს;
 - ზ) საპროექტო ტერიტორიის არსებულ ეკოლოგიურ მონაცემებს;
 - თ) საპროექტო ტერიტორიაზე არსებული წყალსადენის და საყოფაცხოვრებო წყალარინების ძირითად და ლოკალურ ქსელს;

ი) საპროექტო ტერიტორიაზე არსებული ელექტრომომარაგების ძირითად და ლოკალურ ქსელს;

კ) საპროექტო ტერიტორიაზე არსებულ ბუნებრივი აირით მომარაგების ძირითად და ლოკალურ ქსელს;

ლ) საპროექტო ტერიტორიაზე არსებული სანიაღვრე წყალარინების ძირითად და ლოკალურ ქსელს;

მ) საპროექტო ტერიტორიაზე არსებული ძირითადი და ლოკალური გზების და ქუჩების ქსელს;

ნ) საპროექტო ტერიტორიაზე არსებული მიწის ნაკვეთების მესაკუთრეთა მონაცემებს.

4. დოკუმენტური კვლევა მოიცავს საპროექტო ტერიტორიაზე, მისი დაგეგმარებისათვის საჭირო, არსებული ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტების სამართლებრივი აქტების, სამართლებრივი რეჟიმების და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მონაცემებს, დაკავშირებულ ანალიტიკურ და სამეცნიერო მასალებს.

5. ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება მოიცავს საპროექტო ტერიტორიის ძირითად მიზნებს, ამოცანებს და დაგეგმარების მიზანშეწონილობას.

6. ისტორიული განაშენიანების დაცვისა და განაშენიანების რეგულირების ზონებში განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების შემუშავების საფუძველს წარმოადგენს ისტორიულ-კულტურული საყრდენი გეგმა, რომელიც მოიცავს კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონებისა და მასში არსებული ძეგლების, ისტორიულად ჩამოყალიბებულ გარემოს ამსახველ ინფორმაციულ და ანალიტიკურ მასალას.

7. განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების შემუშავება ხდება ამ მუხლით განსაზღვრული ჩამონათვლიდან იმ მონაცემებით, რომლებიც აუცილებელია დაგეგმარებითი ამოცანებისათვის.

წინასაპროექტო კვლევის საფუძველზე უნდა შემუშავდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება.

განაშენიანების რეგულირების გეგმის შემადგენლობა

1. განაშენიანების რეგულირების გეგმის შემუშავების საფუძველია კანონმდებლობა, მათ შორის „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძველების შესახებ“ საქართველოს კანონი და კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება

2. განაშენიანების რეგულირების გეგმის შემუშავება უნდა განხორციელდეს წინასაპროექტო კვლევის საფუძველზე შემუშავებული და ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული გეგმარებითი დავალებით განსაზღვრული ტერიტორიისათვის.

3. განაშენიანების რეგულირების გეგმა მოიცავს:

ა) ზონირების ნაწილს;

ბ) საინჟინრო ნაწილს;

გ) ტექსტურ ნაწილს;

დ) თემატურ ნაწილს.

4. ზონირების ნაწილი წარმოადგენს საპროექტო ტერიტორიის მიწათსარგებლობის კონკრეტულ უფლებრივ ზონირებას, რომელიც შესაძლებელია მოიცავდეს:

ა) მიწის ნაკვეთის განაშენიანების კოეფიციენტებს;

ბ) მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტებს;

გ) მიწის ნაკვეთის გამწვანების კოეფიციენტებს;

დ) საპროექტო ტერიტორიაზე მიწის ნაკვეთების განაწილების რუკას (მიწის ნაკვეთის ნომრის და ფართობის ჩვენებით);

ე) განაშენიანების რეგულირების ხაზებს (წითელ ხაზებს);

ვ) განაშენიანების სავალდებულო ხაზებს (ლურჯ ხაზებს);

ზ) მიწის ნაკვეთებზე შენობათა განთავსების სქემებს.

5. საინჟინრო ნაწილი შესაძლებელია მოიცავდეს:

ა) საპროექტო ტერიტორიაზე წყალსადენის და საყოფაცხოვრებო წყალარინების ძირითადი და ლოკალური ქსელის რუკას, კონკრეტული მიწის ნაკვეთებისთვის განკუთვნილი სიმძლავრეების მითითებით;

ბ) საპროექტო ტერიტორიაზე ელექტრომომარაგების ძირითადი და ლოკალური ქსელის რუკას, კონკრეტული მიწის ნაკვეთებისთვის განკუთვნილი სიმძლავრეების მითითებით;

გ) საპროექტო ტერიტორიაზე ბუნებრივი აირით მომარაგების ძირითადი და ლოკალური ქსელის რუკას, კონკრეტული მიწის ნაკვეთებისთვის განკუთვნილი სიმძლავრეების მითითებით;

დ) საპროექტო ტერიტორიაზე სანიაღვრე წყალარინების ძირითადი და ლოკალური ქსელის რუკას, კონკრეტული მიწის ნაკვეთებისთვის განკუთვნილი სიმძლავრეების მითითებით;

ე) საპროექტო ტერიტორიაზე ძირითადი და ლოკალური გზების და ქუჩების ქსელის რუკას.

6. ტექსტური ნაწილი მოიცავს:

ა) განაშენიანების რეგულირების გეგმის აღწერას;

ბ) განაშენიანების რეგულირების გეგმის განმარტებით ბარათს (განვითარების ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების ანალიზი; განვითარების ოპტიმალური ვარიანტი და „ხედვა“);

გ) განაშენიანების რეგულირების გეგმის ეფექტიანობის (ხეირიანობის) შეფასებას;

დ) განაშენიანების რეგულირების გეგმის განხორციელების ეტაპებს და რიგითობას;

7. ისტორიული განაშენიანების დამცავი და რეგულირების ზონებში განაშენიანების რეგულირების გეგმა, გარდა ამ მუხლით დადგენილი მოთხოვნებისა, დამატებით უნდა მოიცავდეს შემდეგ ნაწილებს:

ა) მოთხოვნებს კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და რეაბილიტაციის შესახებ:

ა.ა) მოთხოვნებს სარეაბილიტაციო ობიექტებში (ძეგლები და კულტურული მემკვიდრეობის სხვა ობიექტები, ფონური განაშენიანება, საზოგადოებრივი სივრცე) ჩარევის შესახებ;

ბ) მოთხოვნებს ტერიტორიების განვითარებისა და ახალშენებლობის შესახებ:

ბ.ა) კონსერვაციისა და განვითარების არელების იდენტიფიკაცია ასაღები და შესანარჩუნებელი შენობების მითითებით);

ბ.ბ) ახალშენებლობის დასაშვები პარამეტრები (მასშტაბი, სიმაღლე, სივრცითი და გეგმარებითი კონფიგურაცია, ფასადების რითმი, ფენესტრაცია);

ბ.გ) მოთხოვნებს საზოგადოებრივი სივრცის კეთილმოწყობის თაობაზე.

8. თემატური ნაწილი, გეგმარებითი დავალებიდან გამომდინარე, შესაძლებელია მოიცავდეს თემატურ საკითხებს.

ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის რევიზია რეკომენდირებულია ჩატარდეს ყოველ 5 წელიწადში.

ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის გრაფიკული ნაწილი – გეგმები, რუკები და სქემები შესრულებული უნდა იყოს გეო-ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით და შეესაბამებოდეს თანამედროვე კარტოგრაფიულ სტანდარტებს. დოკუმენტაციის ტექსტური და გრაფიკული მასალების დაბეჭდილი და ციფრული ვერსიები, გის მონაცემთა ბაზები სრულად უნდა იქნეს წარმოდგენილი.

შესრულებული სამუშაოები

ეტაპი 1

1.1 ონის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის გეგმის გეგმარებითი დავალების შედგენისათვის, წინასაპროექტო კვლევა და სტრატეგიული განვითარების ხედვა (კონცეფცია) „მთის რაჭის“ სოფლების დები, გლოლა, ჭიორა და შქმერის განვითარების ხედვები (კონცეფციები) - ხელშეკრულების გაფორმებიდან - 90 კალენდარული დღე.

1.1.1 სამუშაო ვერსიის განხილვა და შეთანხმება - ეტაპი 1-ის დაწყებიდან 60 დღე;

1.1.2 საბოლოო ვერსიის განხილვა და შეთანხმება - ეტაპი 1-ის დაწყებიდან 90დღე.

დამკვეთს უნდა ჩაბარდეს - წინასაპროექტო კვლევისა და სტრატეგიული განვითარების ხედვის (კონცეფცია) საბოლოო ვერსია.

1.2 სოფლების - უწერის, მრავალზალისა და კურორტ შოვის -- განაშენიანების რეგულირების გეგმების გეგმარებითი დავალებების შედგენისათვის, წინასაპროექტო კვლევები და სტრატეგიული განვითარების ხედვები (კონცეფციები) - ხელშეკრულების გაფორმებიდან - არაუმეტეს 120 დღე.

1.2.1 სამუშაო ვერსიის განხილვა და შეთანხმება - ეტაპი 1-ის დაწყებიდან 100 დღე;

1.2.2 საბოლოო ვერსიის განხილვა და შეთანხმება - ეტაპი 1-ის დაწყებიდან 120 დღე.

დამკვეთს უნდა ჩაბარდეს - წინასაპროექტო კვლევისა და სტრატეგიული განვითარების ხედვის (კონცეფცია) საბოლოო ვერსია.

ეტაპი 2

2.1 ონის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის გეგმის გეგმარებითი დავალება - ეტაპი 2-ის დაწყებიდან არაუმეტეს 60 დღე.

2.2 სოფლების - უწერის, მრავალზალისა და კურორტ შოვის - სარეკრეაციო კომპლექსის - განაშენიანების რეგულირების გეგმების გეგმარებითი დავალებები - ეტაპი 2-ის დაწყებიდან არაუმეტეს 60 დღე.

ეტაპი 3

- 3.1 ონის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის გეგმა და „მთის რაჭის“ სოფლების ღები, გლოლა, ჭიორა და შქმერის განვითარების ხედვები (კონცეფციები) - ეტაპი 2-ის დამთავრებიდან არაუმეტეს 120 დღე.
- 3.1.1 საწყისი სამუშაო ვერსიის განხილვა და შეთანხმება - ეტაპი 3-ის დაწყებიდან არაუმეტეს 70 დღე.
- 3.1.2 შუალედური სამუშაო ვერსიის განხილვა და შეთანხმება - ეტაპი 3-ის დაწყებიდან არაუმეტეს 90 დღე.
- 3.1.3 საბოლოო ვერსიის განხილვა და შეთანხმება - ეტაპი 3-ის დაწყებიდან არაუმეტეს 120 დღე.

ეტაპი 4

- 4.1 სოფლების - უწერის, მრავალძალისა და კურორტ შოვის - განაშენიანების რეგულირების გეგმები და დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესები - ეტაპი 3-ის დამთავრებიდან არაუმეტეს 65 დღე.
 - 4.1.1 საწყისი სამუშაო ვერსიის განხილვა და შეთანხმება - ეტაპი 4-ის დაწყებიდან არაუმეტეს 30 დღე.
 - 4.1.2 შუალედური სამუშაო ვერსიის განხილვა და შეთანხმება - ეტაპი 4-ის დაწყებიდან არაუმეტეს 50 დღე.
 - 4.1.3 საბოლოო ვერსიის განხილვა და შეთანხმება - ეტაპი 4-ის დაწყებიდან არაუმეტეს 65 დღე.
- საბოლოო ვერსიების ჩაბარების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 365 დღე.

საპროექტო დოკუმენტაციის წარმოდგენის ფორმა

საპროექტო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს A-4/A-3 ფორმატის, აკინძული ალბომის სახით:

- სათაური;
- სატიტულო ფურცელი, დამოწმებული ორგანიზაციის ბეჭდით, ხელმძღვანელისა და პროექტის ავტორ(ებ)ის ხელმოწერ(ებ)ით;
- ალბომის შემადგენლობა;
- პროექტის შემადგენლობა;
- შესაბამისი ტექსტური ნაწილ(ებ)ი, დადასტურებული შემსრულებლ(ებ)ის/ ავტორ(ებ)ის მიერ - A-4 ფორმატი;
- გრაფიკული ნაწილ(ებ)ი, შტამპით და ჩარჩოთი - A-3 ფორმატი (გამონაკლის შემთხვევაში დასაშვებია განსხვავებული ფორმატის წარმოდგენა, ალბომში აკინძული A3 ფორმატის ზომაზე).

ყველა ფურცელი უნდა იყოს დადასტურებული ხელმძღვანელის, პროექტის ავტორ(ებ)ის/შემსრულებლ(ებ)ის მიერ ხელმოწერებით.


შემსყიდველისათვის გადასაცემი საბოლოო პროდუქცია

საბოლოო პროდუქციის სახით წარმოდგენილი უნდა იყოს ტექნიკური დავალების (იხ. დანართი № 1) საფუძველზე შემუშავებული დოკუმენტაცია: ნაბეჭდი სახით-ალბომი 10 ეგზ.; ელექტრონულ ფორმატში (PDF) კომპაქტური დისკების სახით - 10 ეგზ.; გეო-ინფორმაციული სისტემების მასალების ელექტრონული ვერსია DVD- ზე - 5 ეგზ. მიწოდების საბოლოო ვადაა ხელშეკრულების ხელმოწერიდან არაუმეტეს 365 დღე.

ონის მუნიციპალიტეტისა და სოფლების - უწერის, მრავალხალისა და კურორტ შოვის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტაციის შემუშავება												
სამუშაოთა დასახელება და ეტაპები	2017							2018				
	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	
I ეტაპი												
ონის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის გეგმის განმარტებით დაცემის შედეგისათვის, წინასწარული კვლევა და სატრეტეული განვითარების ხეფა (სრულდება), „შიოს რაიონ“ სოფლების დენი, გოლი, შირა და შქერის განვითარების ხეფები (სრულდება)	90 ტღ											
1.1 მუდღეური ევრიის განხილვა და შეთანხმება												
1.1.1 სამლოცო ევრიის განხილვა და შეთანხმება												
1.1.2 სამლოცო ევრიის განხილვა და შეთანხმება												
1.2 სოფლების - უწერის, მრავალხალისა და კურორტ შოვის - განამუშავების რეკონსტრუქციის გეგმების განმარტებით დაცემის შედეგისათვის, წინასწარული კვლევა და სატრეტეული განვითარების ხეფები (სრულდება)	120 ტღ											
1.2 მუდღეური ევრიის განხილვა და შეთანხმება												
1.2.1 სამლოცო ევრიის განხილვა და შეთანხმება												
1.2.2 სამლოცო ევრიის განხილვა და შეთანხმება												
II ეტაპი												
2.1 ონის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის გეგმის განმარტებით დაცემის შედეგისათვის, წინასწარული კვლევა და სატრეტეული განვითარების ხეფები (სრულდება)					60 ტღ							
2.2 სოფლების - უწერის, მრავალხალისა და შოვის სატრეტეული კონსტრუქციის გეგმის განმარტებით დაცემის შედეგისათვის, წინასწარული კვლევა და სატრეტეული განვითარების ხეფები (სრულდება)												
III ეტაპი												
3.1 ონის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის გეგმა: დენი, გოლი, შირა და შქერის განვითარების ხეფები (სრულდება)								120 ტღ				
3.1.1 სამუშაო ევრიის განხილვა და შეთანხმება												
3.1.2 მუდღეური ევრიის განხილვა და შეთანხმება												
3.1.3 სამლოცო ევრიის განხილვა და შეთანხმება												
IV ეტაპი												
4.1 სოფლების - უწერის, მრავალხალისა და კურორტ შოვის - განამუშავების რეკონსტრუქციის გეგმების დასახელებით დაცემისათვის, წინასწარული კვლევა და სატრეტეული განვითარების ხეფები (სრულდება)											60 ტღ	
4.1 სამუშაო ევრიის განხილვა და შეთანხმება												
4.1.1 მუდღეური ევრიის განხილვა და შეთანხმება												
4.1.2 სამლოცო ევრიის განხილვა და შეთანხმება												

ჯამი: 360 ტღ

Handwritten signature



Artstudio Project
 #3, Z.Sakandelidze Str. www.artstudio.ge
 0179, Tbilisi, Georgia +995.32.915254 info@artstudio.ge



საქართველოს
ფინანსთა სამინისტრო
Ministry of Finance
of Georgia

N 04-02/46356
31/03/2017



46356-04-02-2-201703311614

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი
განვითარების მინისტრის მოადგილეს
ქალბატონ ირმა ქავთარაძეს

ქალბატონო ირმა,

თქვენი მიმდინარე წლის 29 მარტის N18/1796 და N18/1799 წერილების პასუხად გაცნობებთ, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტრო თანახმაა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ განახორციელოს მრავალწლიანი სახელმწიფო შესყიდვები იმ შემთხვევაში, თუ სამინისტროს მიერ ქვემოთ ჩამოთვლილი ღონისძიებების დასაფინანსებლად მიმართული იქნება:

- ✓ ონის მუნიციპალიტეტისა და სოფლების - უწერის, მრავალძაღისა და კურორტ შოვის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტაციის შემუშავების საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე 2017-2018 წლებში ჯამურად 400 000 ლარი (დღგ-ს გარეშე);
- ✓ ამბროლაურის მუნიციპალიტეტისა და სოფლების - ნიკორწმინდა, ჭრებალოს, წესისა და შაორის ტურისტულ-სარეკრეაციო კომპლექსის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტაციის შემუშავების საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე 2017-2018 წლებში ჯამურად 400 000 ლარი (დღგ-ს გარეშე).

პატივისცემით,

ცოტნე ყავლაშვილი

მინისტრის მოადგილე